ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18-52

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 17/06/2015, სარეგისტრაციოკოდი: 010260030.35.101.016172) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გადაწყვეტილების მიზანი

1. წინამდებარე წესის მიღების მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მოწესრიგება.
2. ეს წესი არ ვრცელდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირებისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) რელიგიური ორგანიზაციების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების, უცხოეთის სახელმწიფოებისა და უცხოური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე.
3. თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე სახელდება დასაშვებია გეოგრაფიული ობიექტის მესაკუთრე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან/და მისი დამფუძნებლის მომართვის ან/და თანხმობის შემთხვევაში.”

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **16** ივნისის **№14-59** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი შეფერხებების აღმოფხვრა.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებას. ვინაიდან ქ. თბილისში გეოგრაფიული ობიექტების სახელდება წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მე-2 მუხლის არსებული რედაქცია ზღუდავს სახელდებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ცალკეულ შემთხვევებში იქმნება ასეთი გეოგრაფიულ ობიექტების სახელდების შეუძლებლობა.

ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზანია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში მყოფ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესაძლებლობა.

გ) პროექტის საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

დ) პროექტის ავტორი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

ე) პროექტის წარმდგენი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.